UPGrade

ლაშა მუზაშვილი, საბა კონჯარია, თეონა ცინცაძე

მეილი: lasha.muzashvili025@eab.tsu.edu.ge

კომპიუტერული მეცნიერება, ზუსტ და
საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა
ფაკულტეტი, ივანე ჯავახიშვილის თბილისის
სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო

ანოტაცია

UPGrade არის გამარტივებული, თამაშის ელემენტებით გაჯერებული ელექტრონული სწავლების პლატფორმა, რომელიც შექმნილია სტუდენტების ჩართულობის გასაზრდელად და თანამშრომლობითი სწავლის წახალისებისთვის. პლატფორმა ლექტორებს საშუალებას აძლევს შექმნან სტრუქტურირებული კურსები და გაკვეთილები, ხოლო სტუდენტებს — მარტივად მიუწვდეთ ხელი სასწავლო მასალებზე, დასვან კითხვები და აქტიურად ჩაერთონ საერთო სასწავლო სივრცეში.

პლატფორმა მოიცავს ყურადღებით განწყობილ გეიმიფიკაციის სისტემას, რომელიც იყენებს გამოცდილების ქულებსა და ჯილდოებს სტუდენტური აქტივობის, დისკუსიებისა და თანაკურსელთა დახმარების წასახალისებლად. UPGrade მარტივი და მოსახმარია, აერთიანებს საჭირო სასწავლო ფუნქციებს ზედმეტი სირთულის გარეშე.

ტექნიკურ ნაწილში ვიყენებთ back-end-ის მხარეს php+Laravel, ხოლო front-end-ის მხარეს React-ს. CSS Modules გამოიყენება პროექტის ვიზუალური მხარის შესაქმნელად ასევე Redux გამოიყენება მონაცემების სამართავად და სხვა ჯავასკიპტის ბიბლიოთეკები, მაგალითად როგორიც არის redux-persist ვებსაიტის სესიებისთვის.